ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4304509

ნომერი: AR1649206

თარიღი : 10.12.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 14.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია დგებუაძე პ/ნ 01006004045
- ქ.თბილისი ბ/ხმელნიცკის მე2შეს#6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სახურავზე ხდება სტაციონალური და არასტაციონალური საჩრდილობლების, საყვავილეების, ბარის დახლის, მაგიდების და სკამების განთავსება, ამასთან ხდება სახურავის მოპირკეთება. განცხადებაზე შერჩეულია მხოლოდ ერთი ნომენკლატურა ,,საჩრდილობლის მოწყობა''. წარმოდგენილი იქნას დეტალური განმარტებითი ბარათი ჩასატრებელი სამუშაოების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში განცხადებას დაემატოს შესაბამისი ნომენკლატურები ,,შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება'', ,,დეკორატიული გაფორმების ობიექტები'' და სხვა. ქმედების განსახორციელებლად ჩართულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება.
- წარმოდგენილი იქნას არსებული სახურავის გეგმა. (ზომები მითითებული იქნას სრულყოფილად)
- წარმოდგენილი იქნას სახურავზე ამოსასვლელი არსებული მოცულობის სქემატური ნახაზები. (ზომები მითითებული იქნას სრულყოფილად)
- ტერასის მოწყობისას გათვალისწინებული იქნას სამეზობლო მიჯნის ზონები. (საპროექტო დოკუმენტაციაში შევიდეს შესაბამისი კორექტივები)
- წარმოდგენილი იქნას დამატებითი ფოტომონტაჟები, მათ შორის პუშკინის სკვერისა და თავისუფლების მოედნის ხედვის არეალებიდან (იმ შემთხვაში თუ მითითებული ადგილებიდან საპროექტო ელემენტები ხილვადი იქნება)

- წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი. (ატვირთული მინდობილობა ვადაგასულია) წარმოსადგენია შპს „აქუა ინვესტის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა ან კომპანიის დირექტორი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ნინო ხარჩილავას და შპს „კურამედიანას“ კუთვნილი ფართების, მათ შორის ტერასის სართულის მოიჯარეა „აქუა ინვესტი“. წარმოდგენილი იქნას იჯარის ხელშეკრულებები, საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრეების თანხმობით ან მესაკუთრეები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად.

სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზის გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.